



ტყის მდგრადი მართვის ეროვნული
პრინციპები, კრიტერიუმები და
ინდიკატორები

ლიკა ბიორბაძე
საბჭემო პოლიტიკის სამმართველო



წინარე პროცესები

- 1990-იანების შემდეგ სატყეო სექტორში არსებული ვითარება
- მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების სავალალო შედეგები
- 2014 წელს გაფორმებული ასოციაციების შეთანხმების ვალდებულებები



დოკუმენტის შემუშავება

- პროცესი დაიწყო 2014 წლიდან
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრები – მიმდინარე წელს სულ მცირე 4 შეხვედრა
- მოეწყო ვებზე გასვლა





მონაწილე მხარეები



ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო
პოლიტიკის დეპარტამენტი



სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო



სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო



პარტნიორი –
GIZ



მდგრადი მართვის პრინციპები

პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (**United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992**) მიერ მიღებულ „გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის“, „21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგი 21-ის“ და „ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების“ დასკვნით დოკუმენტებში.



1992 UNCED Logo



რას ნიშნავს ტყის მდგრადი მართვა?

„ტყეებისა და სატყეო მიწების მართვასა და გამოყენებას ისეთი გზითა და მოცულობით, რომ შენარჩუნებულ იქნას მათი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, განახლების უნარი, სიცოცხლისუნარიანობა და მათი პოტენციალი, ახლაც და მომავალშიც შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, ისე რომ ამან არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება“





დოკუმენტის შემუშავების მიზანი

ტყის მდგრადი მართვის
ერთგვაროვანი გაგება

ტყეების მდგომარეობის
შესახებ ანგარიშების
ინსტრუმენტის შექმნა

ტყის მართვის შედეგების
მონიტორინგი და
მდგრადობის შეფასება



ორი დონის ბანსაზღვრა

- პოლიტიკის დონის პრინციპები, კრიტერიუმები და ინდიკატორები



- მართვის (საოპერაციო) დონის პრინციპები, კრიტერიუმები და ინდიკატორები





ტყის მდგრადი მართვის პრინციპები

ეკოლოგიური

ეკონომიკური

სოციალური

მრავალფუნქციურობის

გამჭვირვალობის



ეკოლოგიური პრინციპი

ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მართვის კონცეფცია

ბუნებასთან
ახლოს

ზომიერება

სიფრთხილე





კრიტერიუმები

- ❖ საქართველოში ტყის საფარი უნდა შენარჩუნდეს ან გაიზარდოს
- ❖ საქართველოში ტყეების ბუნებრივი ბიომრავალფეროვნება უნდა შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს
- ❖ საქართველოს ტყეების სიცოცხლისუნარიანობა უნდა შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს
 - ❖ საქართველოს ტყეების დაცვითი ფუნქციები უნდა იყოს შენარჩუნებული და გაუმჯობესებული



CRITERIA



კრიტერიუმები

- ❖ ტყის მართვის ღონისძიებებმა მხოლოდ მინიმალური უარყოფითი ზემოქმედება (შეშფოთება) უნდა გამოიწვიოს
- ❖ საქართველოს მერქნის მარაგისთვის ხელმისაწვდომი ტყის ფართობების / სამეურნეო ტყეების პროდუქტიულობა უნდა გაუმჯობესდეს
- ❖ ტყის რესურსების წვლილი ნახშირბადის გლობალურ ციკლებში



CRITERIA



ინდიკატორები

ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები



მაგალითად:

- ✓ მოპოვებული მერქნის და ხე-ტყის რაოდენობა და ხარისხი
 - ✓ ტყის მთლიანი ფართობი
 - ✓ ხეების სახეობრივი შემადგენლობა
 - ✓ ხეების განახლების უნარი
 - ✓ ბიომასის პროდუქტიულობა
- ✓ დაცვითი ტყის პროცენტული წილი ტყის მთლიანი ფართობიდან





www.mepa.gov.ge

ეკონომიკური პრინციპი

მთავარი ეკონომიკური გამოწვევები

სავაჭრო კავშირების
გაწყვება

ხე-ტყის გადამუშავების
შემცირება

ეკონომიკური კრიზისი

იმპორტის შემცირება

ენერგოპროდუქტებზე
ფასების ზრდა





კრიტერიუმები

- ❖ მერქნისა და ტყის არამერქნული პროდუქტის გადამუშავების წახალისება საქართველოში
- ❖ საქართველოს ეკონომიკაში სატყეო სექტორის წვლილი უნდა გაიზარდოს, ტყის მდგრადი მართვის ყველა პრინციპის გათვალისწინებით
- ❖ ეროვნული მოთხოვნა ხე-ტყეზე, ხე-ტყის პროდუქტებსა და შეშაზე გათვალისწინებული უნდა იყოს ტყის მდგრადი მართვის სტრატეგიულ დაგეგმარებაში, ასევე ექსპორტისა და იმპორტის რეგულაციებში



CRITERIA



კრიტერიუმები

❖ წახალისებული უნდა იყოს ტყის არამერქნული პროდუქტების კომერციული მიზნით შეგროვება, გასაღება და გადამუშავება

❖ ტყეების დაცვითი ფუნქციების უზრუნველსაყოფად ეკოსისტემური მომსახურებისთვის გადახდის ვარიანტებზე მოლაპარაკება უნდა მოხდეს იმ სამინისტროებთან, რომლებიც დამოკიდებული არიან ტყის ამ ფუნქციებზე



CRITERIA



ინფიკატორები

ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები



მაგალითად:

- ✓ ტყესა და მერქნიანი მცენარეებით დაფარულ სხვა ტერიტორიებზე არსებული კომერციული მომსახურებების ღირებულება
- ✓ სახერხების და მერქნის მეორადი გადამუშავების სადურგლოების რაოდენობა და პოტენციალი
 - ✓ მშპ-ში ტყის სექტორის წვლილი
- ✓ ხე-ტყისა და მისგან მიღებული პროდუქტების იმპორტი და ექსპორტი





www.mepf.gov.ge

სოციალური პრინციპი

მთავარი სოციალური აქცენტები

დასაქმება

„ყველა ტყე
ადგილობრივია“

ჯანმრთელობისთვის
უვნებელ გარემოში
ცხოვრების უფლება

ბუნებრივი რესურსების
ხელმისაწვდომობა

ჩართულობა ტყის
მდგრად მართვაში





კრიტერიუმები

დასაქმების შესაძლებლობები – სამუშაო პირობები

- ❖ ტყის სექტორში დასაქმება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. თანაბარი კვალიფიკაციის შემთხვევაში, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ტყის მახლობლად მცხოვრები სოფლის მოსახლეობის დაინტერესებულ წარმო-მადგენლებს
- ❖ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტყის სექტორში დასაქმებული პერსონალის საჭირო კვალიფიკაციის არსებობა
- ❖ ტყის სექტორში სამუშაო პირობები უნდა იყოს ღირსეული, უზრუნველყოფდეს გენდერულ თანასწორობას და სამუშაო უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას



CRITERIA



კრიტერიუმები

ბუნებრივ რესურსებზე წვდომა (მათ შორის რეკრეაცია ტყეებში და ძოვების უფლებები)

- ❖ უზრუნველყოფილი უნდა იქნას არაკომერციული მიზნით ტყეების ყველასთვის ხელმისაწვდომობა, იქამდე, სანამ გარანტირებულია ტყის ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობა
- ❖ ბუნებრივ რესურსებზე წვდომაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბალანსი ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, სადაც გარკვეული პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნი-ლებების დაკმაყოფილებას.
- ❖ რეკრეაცია ტყეებში



CRITERIA



კრიტერიუმები

ბუნებრივ რესურსებზე წვდომა (მათ შორის რეკრეაცია ტყეებში და ძოვების უფლებები)

❖ აღიარებული და მხარდაჭერილი უნდა იქნას ტყეების მახლობლად მოსახლე თემების (ადგილობრივი მოსახლეობის) იდენტურობა და კულტურა, აგრეთვე ტყითსარგებლობისა და ტყის დაცვის ტრადიციული ცოდნა

❖ ტყეების მახლობლად მცხოვრები სოფლის მოსახლეობისთვის ტყეებში საძოვარი ტერიტორიები უნდა გამოიყოს დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს, ტყის მართვის გეგმის საფუძველზე



CRITERIA



კრიტერიუმები

გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინება ტყის მართვაში

- ❖ დაინტერესებულ მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ ტყის მართვასთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
- ❖ ტყესთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში ჩაბმული სახელმწიფო უწყებები უნდა უზრუნველყოფდნენ ტყის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას



CRITERIA



ინდიკატორები

ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები



მაგალითად:

- ✓ ტყის მართვის ორგანოში დასაქმებული ტყის მახლობლად მცხოვრები სოფლის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი.
 - ✓ სატყეო მეურნეობის განხორციელებისას უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის დაზიანების სიხშირე
- ✓ ტყითსარგებლობისას და სხვა სატყეო ღონისძიებების განხორციელებისას არსებული ტრადიციული ცოდნის გათვალისწინება
- ✓ საჯარო ინტერესის მქონე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე დოკუმენტების პროექტების საჯაროდ გამოქვეყნება





მონიტორინგი და ანბარშიბება

საქართველოს ტყეების მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიმართულებით განხორციელებული პროგრესის მონიტორინგი და შეფასება უნდა მოხდეს რეგულარულად.





პრობლემა





გმადლობთ ყურადღებისთვის!

Thank You!
😊



Soso Meladze Photography